თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8053313

ნომერი: AR11156392

თარიღი : 11.08.2026

გაცემის თარიღი : 20.08.2026

გაცნობის თარიღი : 02.09.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

თბილისი, ბოჭორმის ქ. N25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ჭანტურია პ/ნ 01024009503
- თბილისი პეკინის გამზ. I კვ. კორ. 6ბ ბ. 40

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2026 წლის 11 აგვისტოს №AR11156392 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2026 წლის 27 აპრილის №7896776 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2026 წლის 18 აგვისტოს №8048543 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული, კერძოდ, წარმოდგენილ 0.00 ნიშნულის არქიტექტურულ გეგმაზე „მ-ლ“ ღერძებში და „17“ ღერძზე მდებარე ლიფტში შესასვლელ ფართობზე მითითებულია „კომერციული ფართობი №6“, აღნიშნული არ არის მისაღები. აქვე განგიმარტავთ, რომ ამავე ბრძანებით შეთანხმებული საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებული 0.00 ნიშნულის გეგმაზე „მ-ლ“ ღერძებში და „17“ ღერძზე მდებარე ფართობს არ აქვს მინიჭებული კომერციული ფართობის დაკავებულობა. შესაბამისად, აღნიშნული ფართობი კომერციულ ფართობში ვერ იქნება დაფიქსირებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2026 წლის 27 აპრილის №7896776 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური მხოლოდ ის გეგმები (გეგმარების ცვლილების გარეშე), რომლებზეც ზუსტდება ფართობები და ნუმერაცია (სხვა ცვლილებების გარეშე).

სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2026 წლის 11 აგვისტოს №AR11156392 განცხადება დარჩება განუხილველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.